

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერის 2 მარტის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი

ოქმი N1

ქ. ლაგოდები

5 აგვისტო 2021 წლი

2021 წლის 5 აგვისტოს ჩატარდა ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022 – 2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

ნინო ბატიაშვილი - მერის მოადგილე, გიორგი მჭედლიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, გიორგი მანგოშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თამაზი ღონდაძე - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი, ივანე წიქარიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი და ნინო კუპრაშვილი - ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო საბიუჯეტო კომისიის“ თავმჯდომარე;

დღის წესრიგი

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2022 – 2025 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები შედეგების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი გიორგი მანგოშვილი

ჯონდო მდივნიშვილმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა გიორგი მანგოშვილმა წარმოადგინა ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022- 2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

გიორგი მანგოშვილმა აღნიშნა, რომ არსებული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2022 – 2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2022 – 2025 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები, ასევე აღინიშნა რომ დამატებითი ფინანსური რესურსების

მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2022 – 2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ჯონდო მდივნიშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს სთხოვა კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2022 – 2025 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: მოწონებული იქნეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2022- 2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრის სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
2. მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრმა სამსახურებმა და ა(ა)იპ-ებმა საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის 2022- 2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად, კერძოდ მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნეს პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ჯონდო მდივნიშვილმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

/ჯონდო მდივნიშვილი/

სამუშაო ჯგუფის წევრები:

/ნინო ბატიაშვილი/

/გიორგი მანგოშვილი/

/გიორგი მჭედლიშვილი/

/ივანე წიქარიშვილი/

/თამაზი ლონლადე/

/ნინო კუპრაშვილი/